ნაპოლეონ ქარჭაშაძე

ევროკავშირი – პანაცეა, თუ შესაძლებლობა ?!

ისრაელის სახელმწიფო (მითი თუ სინამდვილე)

თბილისი

2021

ნაშრომის ავტორი:

ნაპოლეონ ქარქაშაძე – *საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

რედაქტორი:

ნოდარ ჭითანავა - *საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

გამოცემის რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე - *საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა "აგრო".

სარჩევი

№		გვ.
1.	რედაქტორისაგან	4
2.	შესავალი	7
3.	საქართველო – ევროკავშირის გზაზე	7
4.	ევროკავშირი და ევრობაზარი	14
5.	როგორ შეიქმნა ევროკავშირი	15
6.	ბალტიისპირეთის ქვეყნები (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა)	17
7.	საქართველო, ბალტიისპირეთის ქვეყნები და ევროკავშირი (მოკლე შედარებითი მიმოხილვა)	18
8.	ისრაელის სახელმწიფო (მოკლე მიმოხილვა)	27

რედაქტორისაგან

ამჯერადაც, ბატონმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ უაღრესად აქტუალურ და ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის თემაზე საკუთარი მოსაზრებები შესთავაზა საზოგადოებას. მისი ნაშრომი „ევროკავშირი-პანაცეა, თუ შესაძლებლობა?! ისრაელის სახელმწიფო (მითი თუ სინამდვილე)" ფორმით, შინაარსით, მნიშვნელობით, პრობლემის დასმისა და განხილვის ლოგიკით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ეს აიხსნება რიგი გარემოებით.

<u>პირველი</u> – საქართველომ განვითარების პოლიტიკურ სტრატეგიად, მართებულად აღიარა ევროპულ ფასეულობებზე ორიენტაცია და მსოფლიოს გასაგონად მტკიცე გადაწყვეტილებაც მიიღო 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს გააკეთებს. ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ქვეყნის ისტორიაში. ამიტომ ასეთი ნაბიჯი მრავალმხრივ ანალიზს, საკუთარი და სხვათა რესურსული პოტენციალის ღრმა ცოდნას, გლობალურ პროცესებთან ადაპტირების მრავალვარიანტულ გათვლებს უნდა ეფუძნებოდეს. მთავარია, ვიცოდეთ რა მიზანს ემსახურება თვით ევროკავშირის, როგორც სახელმწიფოთა შორის გაერთიანების ფუნქციონირების პრინციპები, როგორია პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი, ეკონომიკური და სხვა ასპექტები, რას გვაძლევს ასეთ ალიანსში ყოფნა, ახალ გარემოში რამდენად მოხერხდება განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის, პოლიტიკური დემოკრატიის განვითარების, კულტურის განსხვავებული ტენდენციების, მენტალობისა და მეურნეობრიობის ისტორიული (ტრადიციული) გამოცდილების მრავალფეროვნების ერთ სივრცეში (მართვის რეგულირების ერთიან სისტემაში) ეფექტიანი თანაარსებობა და თანაც საკუთარი რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენება.

ნაშრომში ვრცლად, თანაც პოპულარულად ახსნილია ევროკავშირის გაერთიანების არსი, ფუძემდებლური პრინციპები, პროგრესული მნიშვნელობა, ისტორიული ფუნქცია, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მისი მზარდი როლი და მტკიცე პოზიცია, რომელიც განვითარების მყარ პერსპექტივაზეა ორიენტირებული.

<u>მეორე</u> – ავტორმა, ასევე, ვრცლად განიხილა საქართველოს- ევროკავშირში გაწევრიანების კონკურენტი ქვეყნის-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა, დამოუკიდებლობის 30 წლიანი გამოცდილებით გამოვლენილი თავისებურებები, ტენდენციები (რომ ცხოვრების დღევანდელი დონე, სამრეწველო, აგრარული და სამეცნიერო პოტენციალი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ადრეულ მიღწეულ მაჩვენებლებს). სწორია ავტორის მოსაზრება, რომ „საქართველო იმ ქვეყნების რიგში აღმოჩნდა, რომლებმაც ვერ შეინარჩუნეს ის, რაც გვქონდა. ეროვნულ დონეზე ვერ გავითავისეთ სიკეთე, რომელიც თან უნდა მოჰყოლოდა საბაზრო ეკონომიკას. არ გვქონდა ფინანსების ხარჯვის გამოცდილება და კიდევ ბევრი რამ არ ვიცოდით". (გვ.3).

ამასთან, საქართველოს ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციალური პოტენციალის ანალიზით ავტორი სათანადო არგუმენტებით ასაბუთებს, რომ დღეს ქვეყანაში შექმნილი პოზიტიურ ფაქტორთა ერთობლიობა იძლევა მტკიცე საფუძველს ქვეყნის მაღალი

ტემპებით განვითარებისათვის. ეს ოპტიმიზმი რეალურ გათვლებს, პროცესების შინაგანი კავშირების ობიექტურად შეფასებას ემყარება.

მისაღებია ავტორის მოზომილი სიფრთხილეც, რომელიც გამოწვეულია ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკის განვითარების დღევანდელი მდგომარეობით , მეორე მხრივ, იმ პოზიტიურ ფაქტორთა გამოვლენითა და მათი ეფექტური გამოყენებით, რაც მოითხოვს სერიოზულ კომპენტენტურობას, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მაღალი და ინოვაციური განვითარებისათვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სამეცნიერო –საკადრო პოტენციალის შექმნას.

ამ პრობლემების გადაწყვეტა დიდ დროს, პერიოდულ ინვესტიციებსა და საერთაშორისო თანამეგობრობის მრავალმხრივ მხარდაჭერას საჭიროებს.

რეალურად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი ქვეყანა რამდენიმე ათეული წლით ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების განვითარების მიღწეულ დონეს.

ავტორმა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, კერძოდ, ბალტიისპირეთის ქვეყნების, რომლებიც უკვე ფუნქციონირებენ ევროკავშირის ერთიან სისტემაში გამოცდილების განზოგადებით, განსაზღვრა მოსალოდნელი სიძნელეები, რაც მომავალში საქართველოს სავარაუდოდ ექნება დასაძლევი. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ავტორის (მეცნიერ - მკვლევარის) მაღალ ერუდიციას, აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას და ქვეყნის ბედზე ღრმად დაფიქრებული მამულიშვილის განწყობას.

ბალტიისპირეთის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ევროკავშირში ფუნქციონირების გამოცდილების შესწავლა-ანალიზით ავტორმა მოგვცა მომავალში ახალი პრობლემების წარმოშობის სავარაუდო მიზეზების ახსნა, ამასთან იგი ობიექტურად აფასებს იმ უპირატესობას, რაც აღნიშნულ რესპუბლიკებს განვითარების დონის მიხედვით საქართველოსთან შედარებით ჰქონდათ ევროკავშირში გაწევრიანების პერიოდში.

ნაშრომში მეცნიერული ლოგიკითაა ახსნილი, ევროკავშირში ქვეყნის გაერთიანების განსაკუთრებული მნიშვნელობა და ის პასუხისმგებლობაც, რომელსაც იღებს სუვერენული სახელმწიფო ალიანსში შესვლით.

ეს კარგად ჩანს ავტორის მიერ ერთ სიბრტყეზე საქართველო- ევროკავშირი – ბალტიისპირეთის ქვეყნები – განხილვის პოზიციიდანაც. ასეთი მიდგომა მეთოდოლოგიურად სწორია და განვითარების პროცესების სრულად აღქმას აადვილებს.

მართებულად მიგვაჩნია კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური სიახლე, რომელიც ავტორმა გამოიყენა მკითხველის დაინტერესებისათვის. მხედველობაში მაქვს ევროკავშირთან საქარველოს თანაარსებობის კონტექსტში ისრაელის განვითარების თავისებურებების კომპლექსურად განხილვა და ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერული, ეკოლოგიური ასპექტების ახსნა. როგორც ავტორი მიუთითებს, ისრაელი არც ერთი პოლიტიკური გაერთიანების წევრი არ არის, მაგრამ წარმატებით ვითარდება და თანმიმდევრულად ახორციელებს ქვეყნის (ხალხის) თავისთავადობისა და თვითმყოფადობის პოლიტიკას.

ავტორის აზრით, ისრაელის მაგალითი „ მხოლოდ იმის დასტურია, თუ რისი მიღწევა შეუძლია ქვეყანას, როდესაც ხელისუფლებაც და მოსახლეობაც ორიენტირერებულია ქვეყნის ინტერესებზე”. ეს მოსაზრება მრავალმხრივი მინიშნებაა.

ავტორი მნიშვნელოვან დასკვნებს გვთავაზობს. იგი მართებულად თვლის, რომ ქვეყანა მხოლოდ მაშინ ვითარდება წარმატებით, როცა სწორად აქვს განსაზღვრული მიზანი (საქართველოს უახლესი ისტორიაც ამას ადასტურებს). მისი აზრით, როგორც მიზნის განსაზღვრაში, ასევე განხორციელებაში აუცილებელია ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, ყოველი მომავალი ნაბიჯი მრავალჯერ უნდა გაიზომოს. ისტორიული გამოცდილების იგნორირება ცუდი მრჩეველია, გლობალურ პროცესებთან ადაპტირება აუცილებელი ხდება, ქვეყანა გადასარჩენია, მას სჭირდება სიმშვიდე, რაც აუცილებელია აღმშენებლობისათვის, რომელმაც კეთილდღეობამდე უნდა მიგვიყვანოს..

ავტორის რწმენით, საქართველომ უნდა შეძლოს ევროკავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტანდარტების შესაბამისი სახელმწიფოს შექმნა, რაც პოლიტიკურ გამჭრიახობასთან, სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის უნართან ერთად მოითხოვს წარმოებისა დ შრომის ორგანიზაციის მაღალ დონეს.

დიდი ილია ამბობდა:

„ახლაც ომია,... ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა პატიოსანია, ნამუსიანია, და ისევე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჭკაცობა ამისათანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჭკაცობაზე".

გაფრთხილებად უნდა მივიღოთ ავტორისეული მტკიცე პოზიცია: "ევროკავშირში პროტექციით შესვლა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ქვეყანას დააზარალებს, ქართული სახელმწიფოს მიზანი, არა მარტო იქ შესვლაა, არამედ მყარად დამკვიდრებაც". ამისათვის ავტორს საჭიროდ მიაჩნია, რომ სამთავრობო დონეზე შეიქმნას ანალიტიკოსთა ჯგუფი, რომელიც ევროკავშირთან მომავალი ურთიერთობის ყველა ასპექტს შეისწავლის და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საზოგადოებას.

დარწმუნებული ვართ, რომ ბატონ ნ. ქარქაშაძის წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს საზოგადოების დაინტერესებას ქვეყანაში 30 წლიანი გარდაქმნების დამდგარი შედეგების (ჩამოყალიბებული თავისებურებების, ტენდენციების, დაშვებული შეცდომების და სხვა) ობიექტურად აღქმასა და გაცნობიერებაში.

ნოდარ ჭითანავა – *საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

შესავალი

ევროკავშირი სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციული გაერთიანებაა, რომლის ძირითადი მიზანი, მასში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადობისათვის ხელშეწყობაა, რომლის მიღწევის მექანიზმებიც გაერთიანების წესდებაშია გაწერილი.

ევროკავშირის მთავარი მოთხოვნაა, მასში შემავალი ქვეყნებისათვის თავისუფალი ეკონომიკური სივრცის შექმნა, რაც გულისხმობს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ანუ ღია ბაზარს.

ევროკავშირში დამკვიდრება დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის ხარისხზე, რაც გულისხმობს დადგენილი სტანდარტების დაცვას და სხვა ქვეყნიდან შემოსული პროდუქციის რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნას. ეს პროცესი თვითრეგულირებადია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ უხარისხო პროდუქცია ვერ გაიყიდება!

ევროკავშირში გაერთიანებული ქვეყნებს უფლება აქვთ, კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში გახსნან სავაჭრო ცენტრები, განათავსონ შესაბამისი რეკლამა, თავადვე განსაზღვრონ სარეალიზაციო პროდუქციის ფასი და არეგულირონ იგი. ამასთან ერთად მათ ვალდებულება აქვთ, დაიცვან ქვეყნის კონსტიტუცია და კანონები. პატივი სცენ ქვეყანაში დამკვიდრებული ცხოვრების წესს და იყვნენ ლოიალურები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური თუ სხვა პროცესების მიმართ.

საქართველო ევროკავშირში გაერთიანების კანდიდატი ქვეყანაა. მოსამზადებელ პერიოდში უნდა ვუზრუნველყოთ პლურალისტური დემოკრატია, კანონის უზენაესობა, მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვა, საბაზრო ეკონომიკისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ლიბერალური დამოკიდებულება, აღმსარებლობის თავისუფლება და ევროკავშირის წესდების მოთხოვნების შესრულებისათვის შესაფერისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ა.შ. მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში, ქვეყანა ევროკავშირის სამმართველო ორგანოების დაკვირვების ობიექტია! უნდა გვახსოვდეს, რომ ევროკავშირი საქველმოქმედო ორგანიზაცია არაა. კავშირის წევრობა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო აღიარება, ხოლო მოქალაქეებისათვის პატივი, ღირსება, კეთილდღეობა და ამავდროულად მოვალეობაცაა.

საქართველო ევროკავშირის ღირსეული წევრი გახდება და ეს შეუქცევადი პროცესი, კიდევ ერთხელ დაადასტურებს ქართველი ერის სიბრძნესა და გონიერებას.

საქართველო – ევროკავშირის გზაზე

საბჭოთა კავშირის დაშლამ, არა მარტო საბჭოთა რეესპუბლიკები, არამედ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები და მსოფლიო ეკონომიკაც შეაზანზარა.

გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რომლის საფუძველი და მამოძრავებელი ძალა კონკურენციაა, არ აღმოჩნდა ისეთი მარტივი, როგორიც გვეგონა. ყოფილმა სოციალისტურმა სივრცემ, ვერ გაუძლო თავისუფალი სამყაროს შემოტევებს და მათმა პროდუქციამ, უპრობლემოთ დაიპყრო სოციალისტური ქვეყნების ბაზარი.

სამწუხაროდ, საქართველოც იმ ქვეყნების რიგებში აღმოჩნდა, რომლებმაც ვერ შეინარჩუნეს ის, რაც გვქონდა. ეროვნულ დონეზე ვერ გავითავისეთ „სიკეთე”, რომელიც

თან უნდა მოჰყოლოდა საბაზრო ეკონომიკას, არ გვქონდა ფინანსების ხარჯვის გამოცდილება და კიდევ ბევრი რამ არ ვიცოდით.

მოკლედ, იმის შესახებ, თუ რით შევდივართ ევროკავშირში, როგორი ქვეყანაა საქართველო და რა საწარმოო პოტენციალი აქვს:

საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიაში, მისი ტერიტორია (1990 წლების მონაცემებით) 69,0 ათასი კვ.კმ-ია. მას რეგიონში ცენტრალური ადგილი უჭირავს და აქვს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო საზღვარი. იგი მთიანი ქვეყანაა, ტერიტორიის 2/3 უჭირავს მთებს. ჩრდილოეთით მდებარე კავკასიონის ქედის ზოგიერთი მწვერვალი 5000 მეტრს აღემატება. სამხრეთ საქართველო მესხეთის, თრიალეთის და ჯავახეთის მასივს უჭირავს. ქვეყნის ცენტრალური ნაწილი სურამის ქედზე გადის, რომელიც ქვეყანას აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ყოფს.

ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის ველი. დასავლეთ საქართველოში დომინირებს კოლხეთის დაბლობი, რომლის დიდი ნაწილი ჭარბტენიანია და ნაკლებად გამოუსედაგარი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

საქართველოს მთიანი რეგიონი, მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკისა და ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებას.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, შრომის საკავშირო დანაწილებაში, საქართველო წარმოდგენილი იყო, როგორც მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის, შავი მეტალების, აზოტოვანი სასუქების, ჩარხთმშენებლობის, სატვირთო ავტომობილების, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ელმავლების მწარმოებელი ქვეყანა. გარდა აღნიშნულისა საქართველოში იწარმოებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები: ჩაი, ყურძენი (ღვინო, კონიაკი), ციტრუსები, ხილი (კონსერვები) და სხვა, რომლებიც დიდი რაოდენობით იგზავნებოდა არა მარტო რუსეთის ფედერაციასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, არამედ საზღვარგარეთაც.

საქართველოს სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანია, ჩვენთან წარმოდგენილია ხუთიდან ოთხი ბუნებრივი ზონა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების 11 სპეციალიზირებული ზონა, რაც მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებას იძლევა. საქართველოზე გადის მსოფლიო სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარი.

საქართველო მცირე მიწიან ქვეყნად ითვლება, ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 16,1%-ზე არის შესაძლებლობა ვაწარმოოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, უნდა ავღნიშნოთ, ისიც, რომ დაბალპროდუქტიანია ჩვენი საძოვრები და სათიბები.

სავარგულთა რაოდენობა 3,2 მლნ, ჰექტარია, მათ შორის სახნავი 800 ათასი, მრავალწლიანი ნარგავი (ჩაი, ხეხილი, ვენახი) 360 ათასი, სათიბები 200 ათასი, ხოლო საძოვრები 1,8 მლნ. ჰა. ერთ სულ მოსახლეზე, სახნავი 0,14 ჰექტარია (1990 წლის მონაცემები). აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი სავარგულები მრავალკონტურიანია, მაგალითად სახნავი და მრავალწლიანი ფართობები წარმოდგენილია 28 ათას ნაკვეთად, რაც მექანიზაციის საშუალებას მინიმუმამდე ამცირებს. დასამუშავებელი ნაკვეთების საშუალო პარამეტრები 2,3 ჰექტარია, ბევრია ნახევარჰექტრიანი და უფრო მცირე მოცულობის ნაკვეთები,. პრობლემატურია ისიც, რომ დამუშავებაში მყოფი მიწების 35%

მდებარეობს 8^0 და მეტი დაქანების ფართობებზე, რაც აძნელებს მათ ათვისებას და ექსპლუატაციას. ანალოგიური მდგომარეობაა სათიბ - საძოვრებშიც, რომელთა 43 % მიუდგომელია და ამდენად დაბალეფექტური.

სათესი ფართობიდან 273 ათასი ჰა ეჭირა მარცვლეულს, რომელთა ნათესები (ხორბალი, ქერი) ძირითადად წარმოდგენილი იყო აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ქართლსა და კახეთში. ხოლო დასავლეთ საქართველოში მარცვლეულიდან ძირითადად მოჰყავდათ სასურსათო და საფურაჟე სიმინდი. მარცვლეულის საერთო წარმოება საუკეთესო წლებში 640-860 ათასი ტონა იყო, საშუალო მოსავლიანობა 23,4 ცენტ. (დღეისათვის წარმოება 240-250 ათას ტონას არ აღემატება) კომუნისტურ სისტემაში, რესპუბლიკაში ყოველწლიურად შემოგვქონდა : 1,8-1,9 მლნ.ტონა მარცვალი, რაც მარცვლის საერთო მოხმარების 70 % აღემატებოდა. საქართველოს შეუძლია მარცვლეულის საერთო მოსავლის გაზრდა 1,1-1,2 მლნ.ტონამდე, რაც შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სარწყავი ფართობი გასამმაგდება, ეს კი მიწების მელიორაციის გარეშე შეუძლებელია.

ნათესი ფართობებიდან 32 ათასი ჰა უკავია კარტოფილს (დღეისათვის ეს მაჩვენებელი 27,1 ათასი ჰექტარია), საერთო მოსავალი 400 ათას ტონამდე იყო, მოსავლიანობა კი 125 ცენტნერი, რაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად ითვლებოდა. კარტოფილის ძირითადი რეგიონებია ქვემო ქართლი და ჯავახეთი. საქართველოს ბელორუსიიდან შემოქონდა 45 ათას ტონამდე კარტოფილი. წლიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კი საჭიროა 650-680 ათას ტონამდე.

საქართველოში მოჰყავთ მაღალი ხარისხის ბოსტნეული. 1999 წელს ბოსტნეულის ქვეშ დაკავებული იყო 42 ათასი ჰა, საერთო მოსავალი აღემატებოდა 600 ათას ტონას და იგი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ სხვა რესპუბლიკებში. დამოუკიდებლობის შემდეგ მისი წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც გასაღების ბაზრის დაკარგვით იყო გამოწვეული. 2018 წელს ქვეყანამ აწარმოა 350 ათასი ტონა ბოსტნეული, ეს მაჩვენებელი მომდევნო წელს გაიზარდა.

ბოსტნეული ძირითადად ღია გრუნტში მოჰყავდათ და მისი მწარმოებელი, კერძო სექტორი იყო. 2010 წლიდან საქართველოში დაიწყეს სათბურების მშენებლობა, ძირითადად თბილისის საგარეუბნო რეგიონებში და დასავლეთ საქართველოში. დღეისათვის სასათბურე მეურნეობების რაოდენობა გაიზარდა, გაუმჯობესდა ტექნიკური ბაზა, ბოსტნეულ-ბაღჩეულის წარმოება ინდუსტრიალ ხასიათს იღებს, დაიწყო მისი ექსპორტი, ძირითადად რუსეთის ფედერაციის დიდ ქალაქებში. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წარმოება დინამიკაში იზრდება და ვარაუდობთ, რომ ეს პროცესი კიდევ დაიხვეწება და ამ დარგის არეალი გაფართოვდება.

ტექნიკური კულტურებიდან საქართველოში აწარმოებდნენ შაქრის ჭარხალს, რომელიც ადგილზევე – აგარის შაქრის ქარხანაში მუშავდებოდა. ქართული შაქარი მაღალი ხარისხის იყო და მას შეეძლო სერიოზული კონკურენცია გაეწია სხვებისათვის. დღეისათვის აგარის შაქრის ქარხანა ფაქტიურად გაჩერებულია, ვინაიდან შაქრის ჭარხლის წარმოება გაურკვეველი მიზეზების გამო შეწყდა. დრო და დრო ქარხანა ამუშავებს ბელორუსიიდან შემოტანილ ჭარხალს, რაც წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის.

ტექნიკური კულტურებიდან ვაწარმოებდით მზესუმზირას, 1990 წელს წარმოებული იყო 10 ათას ტონამდე სუფთა მზესუმზირა, მათი გადამუშავება ხდებოდა ადგილზე არსებული მცირე ზეთის სახდელ ქარხნებში. ქართული ზეთი მაღალი ხარისხისაა. პერსპექტივაში ალბათ ეს დარგი ისევ აღორძინდება.

საქართველოში ოდითგანვე წარმოდგენილი იყო მრავალწლიანი კულტურები. კოლხეთში შემოსული ძველი ბერძნებიც ხომ ქართულმა ბაღ-ვენახების გონივრულმა განაშენიანებამ გააოცა?! და თუ საქართველო არის იმ ქვეყნების რიგში, რომლებმაც საფუძველი დაუდეს კულტურულ მიწათმოქმედებას – ეს ძველი კოლხეთის ბაღების დამსახურებაცაა.

მრავალწლიანი ნარგავების ქვეშ, სოციალისტურ საქართველოში დაკავებული იყო 360 ათასი ჰექტარი. აქედან მევენახეობაზე მოდიოდა 128 ათასი ჰა. 1988 წელს, ქართველმა მევენახეებმა მოიწიეს ყურძნის რეკორდული მოსავალი – 815 ათასი ტონა. საქართველოში გავრცელებულია ვაზის 400 ჯიში. (აგრარული უნივერსიტეტის ვაზის საკოლექციო ნაკვეთზე წარმოდგენილი იყო ყველა ჯიში, მათ შორის ენდემურიც. სამწუხაროდ მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ აგრარული უნივერსიტეტი და მთელი მისი ქონება მიზერულ ფასად „მიჰყიდა" კ. ბენდუქიძეს, რომელმაც ამოძირკვა მსოფლიო მნიშვნელობის კოლექცია და მის ადგილზე სამედიცინო კლინიკა ააშენა?!..)

მხოლოდ საქართველოში მოდის ყურძნის ისეთი სახეები, რომელიც გამოიყენება უნიკალური ღვინოების: „ქინძმარაულის" (ყვარელი), „ხვანჭკარას" (რაჭა), „იზაბელა" (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი), „მანავის" (გურჯაანი, თელავი), „კახური სუფრის" (კახეთის რაიონები) დასამზადებლად.

ამ უნიკალური ღვინოების დამზადება ჩვენი პრიორიტეტია. 2013 წლიდან ქართული ღვინის წარმოება აღორძინების გზაზეა.

საქართველოში არსებობდა, ღვინის პირველადი დამუშავების 112 ქარხანა, 10 - ჩამომსხმელი ქარხანა, შამპანურის, ღვინისა და კონიაკის ქარხანა თბილისში. დღეისათვის ეს ქარხნები მოდერნიზებული და ახალი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. საბედნიეროდ ქართული ღვინოები წარმატებით იყიდება მსოფლიოს ბაზარზე.

სსრ კავშირში საქართველო ცნობილი იყო აგრეთვე, როგორც მაღალი ხარისხის ხილის მწარმოებელი რესპუბლიკა. განსაკუთრებით ფასობდა ქართლში მოყვანილი ხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, ალუბალი, ლეღვი. პროდუქცია გადიოდა მოკავშირე რესპუბლიკების ბაზარზე. მეხილეობა შემოსავლიანი დარგი იყო და ხეხილის ბაღები (ისე როგორც ვაზის) კარგად იყო წარმოდგენილი კერძო სექტორშიც.

დღეისათვის ეს დარგი უყურადღებოდაა. თუმცა არსებობს მისი აღორძინების სახელმწიფო პროგრამა. საქართველოში კონტინენტური ხილის 20 სახეობა და 115 ჯიში იყო გავრცელებული, სამწუხაროდ დიდი ნაწილი დაკარგულია.

საქართველოში (კონკრეტულად დასავლეთი მხარე) კარგად იყო წარმოდგენილი სუბტროპიკული მეხილეობაც. ეს შედარებით ახალი დარგია (გაშენდა 1932-1935 წლებში) რომელმაც ქვეყანაში მყარად მოიკიდა ფეხი და აღორძინების გზაზე იდგა. 1988 წელს ციტრუსები წარმოდგენილი იყო 21,5 ათას ჰექტარზე, რომელთაგან ხუთი ათასი ჰექტარი მოდიოდა კერძო სექტორზე. 1990 წელი ციტრუსებისათვის სარეკორდო იყო. ვაწარმოეთ

300 ტონაზე მეტი პროდუქცია. ქართული მანდარინი, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, იყიდებოდა ევროპულ ბაზარზეც, სადაც დიდი მოწონებით სარგებლობდა.

მანდარინის გარდა ვაწარმოებდით ფორთოხალს (1500 ტონა), ლიმონს (ერთ მილიონ ცალს), აგრეთვე გრეიფრუტს და ფეიხოას. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში გამოყვანილი იქნა ლიმონის ახალი, დაავადება და ყინვაგამძლე ჯიში - „დიოსკურია", რომელთა ავტორებმაც სახელმწიფო პრემია დაიმსახურეს. სამწუხაროდ, ამ ჯიშის გავრცელება ჯერჯერობით მსოფლიოში ვერ მოხერხდა, რადგან საწარმოო და საცდელი ფართობები აფხაზეთში მდებარეობს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართული ჩაი, რომელსაც საქართველოს ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. 1990 წლამდე, მეჩაიეობა ჩვენი სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი და მაღალრენტაბელური დარგი იყო, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დასავლეთ საქართველოში, სოფლის მეურნეობის შემოსავლების მდგრადობას და საწარმოო სპეციალიზაციას. საქართველო აწარმოებდა სსრ კავშირში წარმოებული მზა ჩაის 95%. შექმნილი იყო ჩაის ფოთლის მოყვანისა და მზა ჩაის დამზადების საკადრო და სამეცნიერო უზრუნველყოფის სრული ინფრასტრუქტურა. ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის საქართველო (თურქეთთან ერთად, რომლებსაც ჩვენ შევუქმენით ჩაის მოვლა-მოყვანის და ტექნოლოგიური გადამუშავების ინფრასტრუქტურა) მსოფლიოს ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის მე-4 და მე-5 ადგილზე იმყოფებოდა. ქართველმა კონსტრუქტორებმა (პროფ. შ.კერესელიძე და სხვები) შექმნეს ჩაის მოვლა-მოყვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მათ შორის პირველებმა მსოფლიოში ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები.

1988 წლის მონაცემებით ჩაის კულტურით დაკავებული იყო 18,2 ათასი ჰექტარი. იგი ძირითადად წარმოდგენილი იყო სპეციალიზებული მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სახით. ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, ჩაის კულტურების გავრცელების ზედა ზღვარი 850 მეტრია ზღვის დონიდან. პლანტაციები გაშენებულია ძირითადათ შპალერული მეთოდით, ხოლო ფერდობებზე - ჭადრაკული წესით. ჩაის პრობლემებმა მეც დამაინტერესა და მას მონოგრაფია „სსრ კავშირის ჩაის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები" მივუძღვენი. გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ჩაის კულტურის ქვეშ სსრ კავშირს დამატებით შეეძლო აეთვისებია 11,0 ათასი ჰა, აქედან 2,5 ათასი სოჭა-კრასნოდარის მხარეში, ხოლო დანარჩენი საქართველოში.

ქართული ჩაი (თუ მწვანე ფოთლს მოვკრეფთ აგრო-ტექნიკის წესების დაცვით და დროულად გადავამუშავებთ მას) თავისი ხარისხით უტოლდებოდა მსოფლიოს სტანდარტებს. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი საქართველოში ექვსთვიანია, რაც ნიადაგს, სრულყოფილი აღდგენის საშუალებას აძლევს.

ჩაის ინდუსტრიის განვითარებას ემსახურებოდა ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ჩაის ფოთლის მიღება და გადამუშავება), ინსტიტუტმა გამოიყვანა ჩაის კულტურის ახალი ჯიში (აკად. ქ. ბახტაძე), რომლითაც დაინტერესდა მსოფლიოს ჩაის ინდუსტრიაც. კადრების მომზადებას წარმატებით ახორციელებდა – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სასწავლო ინსტიტუტი, რომელიც მდებარეობდა ქ. სოხუმში და რომლის ხელმძღვანელიც 16 წლის განმავლობაში

გახლდით მე, ნეტავ იმ დროს!! ინსტიტუტში წარმოდგენილი იყო სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ციტრუსები) მოვლა-მოყვანისათვის საჭირო ყველა სპეციალობა (აგროტექნიკა, მექანიზაცია, მელიორაცია, გადამუშავება, დეკორაციული მებაღეობა), სასწავლო პროცესში ჩართული იყო მსოფლიოში მაღალი რეიტინგის მქონე პროფესორ-მასწავლებლები. ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლობდნენ უცხოელი (ინდოეთიდან, ეგვიპტიდან, კუბიდან და სხვა ქვეყნებიდან) ასპირანტები.

ჩაის მოვლა-მოყვანის ინდუსტრიას ემსახურებოდა 108 ფოთლის პირველადი გადამამუშავებელი და 3 დამფასოებელი ქარხანა.

სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში ჩაის ფოთლის წარმოება თითქმის განადგურებულია, იკრიფება 4-5 ათასი ფოთოლი, მათ გადამუშავებას კი ემსახურება ერთი ჩაის ფაბრიკა.

აღნიშნული დარგის აღორძინება, ქართული სახელმწიფოს უპირველეს ვალდებულებებს შორისაა და იმედია, ეს დარგი ქვეყანაში ჰპოვებს თავისი განვითარების გზას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგი გახლდათ მემცენარეობა (აქ იგულისხმება, როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი კულტურები) შეფარდება მეცხოველეობასთან 1988 წელს 70 % / 30% იყო.

მარცვლეულთან ერთად, მეცხოველეობის პროდუქციაც სტრატეგიული მნიშვნელობისაა და ადამიანის კვების რაციონში – აუცილებელი. სხვა დანარჩენი (ხილი, ალკოჰოლური სასმელები და სხვა სახის პროდუქცია) ითვლება – ელიტალურად, ანუ თუ გვაქვს, მოვიხმართ.

მეცხოველეობა თავისი სტრუქტურით, მრავალ დარგოვანია - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და სხვა. საქართველოში ოდითგანვე იყო წარმოდგენილი. აქედან ხარი, კამეჩი, ცხენი, სახედარი, როგორც ცოცხალი გამწევი ძალა, დღესაც აქტიურად გამოიყენება საწარმოო პროცესებში (როგორც სატრანსპორტო საშუალება).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მეცხოველეობა რიგ შემთხვევაში წამგებიანი იყო, მას მაინც სერიოზული ნიშა ეჭირა ერთიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

საქართველოში მეცხოველეობა წარმოდგენილი იყო, როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სექტორში. 1985 წელს ორივე სექტორში გვყავდა 1,7 მლნ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვრის ფარა – 2,0 მლნ. სული, ღორი-1,2 მლნ.სული, ფრინველი – 24,3 მლნ. ფრთა. იმავე წელს საქართველოში აწარმოეს -164,5 ტონა ხორცი, აქედან რქოსან პირუტყვზე მოდიოდა 37%, ღორის ხორცზე 42,0%, ხოლო დანარჩენი მეფრინველეობაზე. იმავე წელს ვაწარმოეთ 11,1 მლნ.ცალი კვერცხი.

1991 წლიდან იწყება მეცხოველეობის დარგის გაჩანაგება, სამოქალაქო ომმა (1991-1992 წლები) შეიწირა ყველა სექტორში სულადობის 38%. განსაკუთრებით დაზარალდა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. სულადობა მცირდებოდა შემდგომ წლებშიც, შედარებით სტაბილური იყო აღნიშნული მაჩვენებელი 1997-1998 წლებში, ხოლო 2000 წლიდან დაიწყო აღმავლობა, რომელიც გაგრძელდა 2005 წლამდე. შემდეგ მაჩვენებელები

ისევ გაუარესდა და შედარებით მყარი სიტუაცია დაიწყო – 2014 წლიდან - ძირითადად მეფრინველეობაში.

აღსანიშნავია აგრეთვე საქართველოს მეაბრეშუმეობაც, რომელიც დღეისათვის განადგურებულია. მას საქართველოში თხუთმეტ საუკუნოვანი ისტორია აქვს და ის ყოველთვის განიხილებოდა როგორც შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, ოჯახის ფულადი შემოსავლების ზრდისა და ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების წყარო. მაღალხარისხოვანი ქართული აბრეშუმი დიდი მოწონებით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. და უფრო მეტიც, დიდი აბრეშუმის გზა საქართველოზე გადიოდა.

საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების მასშტაბებზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: მე-20 საუკუნის 60-იან წლებში იწარმოებოდა ცოცხალი პარკი – 4,0–4,4 ათასი ტონა, გრენა – 4,6-5,1 ტონა, მათ შორის 80 კგ სუპერელიტური, ხამი ძაფი- 450–500 ტონა, ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი – 4,5-5,0 მილიონი გრძივი მეტრი, 1,0 მილიონამდე თუთის ნერგი. ქვეყანაში გაშენებული იყო 8,5 ათასი ჰა თუთის პლანტაცია და მილიონობით ძირი ერთეული ნარგაობა. მეაბრეშუმეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ათობით მილიონი მანეთი ავსებდა ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტს.

გასული საუკუნის სამოციან წლებში მეაბრეშუმეობით დაკავებული იყო 120 ათასამდე ოჯახი. თუთის დაავადება "ფოთლის სიხუჭუჭის" გავრცელებამდე - 1964 წელს საქართველოში მეაბრეშუმეობიდან ფულადი შემოსავალი 17 მილიონ მანეთს აღემატებოდა და წარმოებაში 14 -15 ათასი სამუშაო ადგილიც იყო გარანტირებული. ამასთან, წარმოებული პარკი, მთლიანად აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნას. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, 1957 წელს წარმოებულ მთლიან პროდუქციაში (208,700,5 ათასი მანეთი) მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი შეადგენდა 5,4 %-ს, ხოლო 1964 წელს - 5,6 %-ს, რაც ნამდვილად სოლიდური მაჩვენებელი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს სისტემაში 1959 წელს წარმოებული იყო 204,441,5 ათასი მანეთის პროდუქცია, საიდანაც მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი 56,5 %-ს შეადგენდა. თუ სოფლის მეურნეობის სისტემაში მეაბრეშუმეობას სხვა დარგებთან შედარებით მოკრძალებული ადგილი ეკავა, სამაგიეროდ საფეიქრო მრეწველობაში მას ერთ-ერთი პრიორიტეტული მდგომარეობა ჰქონდა და ამ კუთხით ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისათვის საკეთესო დარგს წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამს ემატება ისიც, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა ტექნიკური შეიარაღებით ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო ყოფილ სსრ კავშირში (ვუსწრებდით მხოლოდ სომხეთის რესპუბლიკას). ენერგოშეიარაღება შეადგენდა 13 ცხ.ძალას, მაშინ როცა საშუალო საკავშირო მაჩვენებელი 30,5 ცხ.ძალას უდრიდა, ხოლო ბალტიისპირეთის ქვეყნების – 60,0 ცხ.ძალას აღემატებოდა.

ენერგოშეიარაღება წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია. მასზეა დამოკიდებული, დამატებითი მუშა ხელის (ცოცხალი შრომა) გამონთავისუფლება. ენერგოშეიარაღების დაბალი დონე, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო საქართველოს მთაგორიანი რელიეფით. ცნობისათვის აქტიური სავარგულების (ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები) 60% - მეტი განლაგებული იყო

ტექნიკისათვის მიუდგომელ ფერდობებზე. სიტუაციას ამწვავებდა ისიც, რომ როგორც ავღნიშნეთ, სავარგულთა აქტიური ნაწილი წარმოდგენილი იყო მცირე ნაკვეთებად. (ცნობისათვის: ტრაქტორის მუშაობის არეალი არ უნდა იყოს 5 ჰექტარზე ნაკლები, დახრილობა კი 5%-მდეა დასაშვები). საქართველოში არსებობდა სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა 1983 წელს, მაგრამ მან თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა. სსრ კავშირის დაშლას თან მოჰყვა აღნიშნული ინსტიტუტის ლიკვიდაცია, ვინაიდან მისი დაფინანსება ხორციელდებოდა საკავშირო ბიუჯეტიდან, დაფინანსების წყარო კი სსრ კავშირის დაშლისთანავე შეწყდა. მიუხედავად ამისა, გვაქვს თეორიული კვლევები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტას, ამისათვის კი საჭიროა სერიოზული მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, რომელიც ჯერ-ჯერობით არ გაგვაჩნია.

წინამდებარე მომოხილვა, დაინტერესებულ მკითხველს მისცემს იმის საშუალებას, რომ სწორი ანალიზის შედეგად დაინახოს ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობები და ევროკავშირში გაერთიანებას მომზადებული შევხვდეთ.

ევროკავშირი და ევრობაზარი

ევროპა ევრაზიის მატერიკის ნაწილია და იგი ატლანტიკის ოკეანიდან დასავლეთ ურალამდეა გადაჭიმული. ამ სივრცის ნაწილია საქართველოც და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებიც.

ევროპის კონტინენტის ყველაზე განვითარებული რეგიონი დასავლეთში არსებული ქვეყნებია, რომლებსაც კონტინენტის მხოლოდ 4,2 % უჭირავს, მოსახლეობის რაოდენობა კი 500 მილიონამდეა, რაც მსოფლიო მოსახლეობის 13% შეადგენს. ევროკავშირის ხვედრითი წილი მსოფლიო ეკონომიკაში 25-30%-ია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში 30-32 %. ამრიგად, დასავლეთ ევროპა ეკონომკიური განვითარების დონით იყო, არის და მომავალშიც იქნება, ეკონომიკური ინოვაციების გენერატორი, არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოშიც.

დასავლეთ ევროპის ბუნებრივი პირობები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მოზაიკური ლანდშაფტით, მოსახლეობის სიმჭიდროვით და სოფლის მეურნეობის განვითარების უაღრესად მაღალი დონით. ამ რეგიონის განსაკუთრებულ და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელსაყრელ კლიმატს განსაზღვრავს ატლანტიკის თბილი დინება და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანეების სიახლოვე. სწორედ მათი სიმბიოზი ქმნის ხელსაყრელ პირობებს სასოფლო – სამეურნეო საქმიანობისათვის, რასაც ხელს უწყობს ბუნებრივი ფაქტორებიც. კერძოდ, ტყეები და მცენარეული საფარი. ტყეებს უჭირავს ტერიტორიის 30%-ზე მეტი. ისინი მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ კლიმატის კვლავწარმოებას და აქედან გამომდინარე ნიადაგების ფორმირებას, ეს კი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტურობის საწინდარია.

დასავლეთ ევროპაში წარმოდგენილია ყველა საწარმოო ზონა (გარდა ტროპიკულისა), იგი იწყება სუბტროპიკებით, (იტალია საფრანდეთი, ესპანეთი, საბერძნეთი) და მთავრდება ტუნდრით (უკიდურესი ჩრდილოეთი).

მსოფლიოს ამ რეგიონში, მკვეთრადაა გამოკვეთილი ურბანიზაციის პროცესი. მოსახლეობის 75-ზე მეტი ცხოვრობს ქალაქებში, თუმცა არის სახელმწიფოები (ბელგია, ჰოლანდია, გერმანია, შვედეთი) სადაც ეს მაჩვენებლები 90%-ია. დასავლეთ ევროპაში აღარ არსებობს სოციალური განსხვავება სოფელსა და ქალაქს შორის. მათი ცხოვრების დონე, ფაქტობრივად გათანაბრებულია.

დასავლეთ ევროპამ, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მიაღწია განვითარების მაღალ დონეს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. აქედან დაიწყო კულტურული მიწათმოქმედების ინდუსტრიალიზაცია. წარმოებაში დამკვიდრდა შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმები (აგროსამრეწველო გაერთიანებები, მეფრინველეობისათვის ინკუბატორები, მერძეული პირუტყვისათვის ბაგური კვება და ა.შ.). ამის შედეგია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო (და არა მხოლოდ) თვალსაზრისით, ევროპის ეს რეგიონები ყველზე მოწინავეა მსოფლიოში, თუმცა იგი მცირე მიწიანობით ხასიათდება. სახნავი, ერთ სულზე გაანგარიშებით 0,13-0,15 ჰექტარია. მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის თვალსაზრისით, იგი მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

როგორც უკვე ითქვა, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებითა და ცხოვრების დონით მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალგანვითარებული რეგიონია. სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი დასავლეთ ევროპის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 8-10 % არ აღემატება, თუმცა მას შეუძლია გამოკვებოს საკუთარ მოსახლეობაზე 1,7-ჯერ მეტი ადამიანი, რაც იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ევრობაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შეღწევა საკმაოდ ძნელია, თუმცა არა შეუძლებელი.

როგორ შეიქმნა ევროკავშირი

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე, ევროპა დანაწევრებული იყო წვრილ-წვრილ სახელმწიფოებად. მისი გაერთიანება (განსაკუთრებით გერმანიის) აქტუალური გახდა მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. პროცესი დაჩქარდა მას შემდეგ, რაც ბისმარკმა, გერმანულენოვანი წვრილ-წვრილი სახელმწიფოები გააერთიანა და შეიქმნა გერმანიის იმპერია, რომელიც პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა, თუმცა 20 წლის შემდეგ გერმანულმა იმპერიალიზმმა ისევ გააჩაღა მსოფლიო ომი და სასტიკად დამარცხდა 1945 წელს, რაშიც უდიდესი წვლილი ყოფილმა საბჭოთა კავშირმა შეიტანა. მეორე მსოფლიო ომმა გააჩანაგა, არა მარტო გერმანიის ეკონომიკა, არამედ საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის და სხვა ევროპული ქვეყნების ეკონომიკაც. დანგრეული ეკონომიკის აღდგენა ევროპულ ქვეყნებს გაუჭირდათ, ვინაიდან აღდგენისათვის საჭირო, საკმარისი რესურსები ცალკე აღებულ ქვეყნებს არ გააჩნდათ. ამიტომ ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს თავისი რესურსების გაერთიანებაზე ფიქრი, რაც ამავე დროს მშვიდობიანი ევროპის გარანტიაც იქნებოდა. ევროპული ინტეგრაციის პროცესი ფრთხილად დაიწყო. 1951 წელს შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის მოპოვება-წარმოების გაერთიანება. რომელმაც ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარა ევროკავშირის შექმნას.

1957 წელს შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, ანუ, „ევროპის კავშირი". 1987 წელს კი კავშირში შემავალმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ერთიან ევროპულ აქტს, რომელიც კარგად ჩამოყალიბებული სტრუქტურების შექმნასაც ივალისწინებდა. 2003 წელს კი ხელი მოაწერეს ევროკაშირის დოკუმენტს „მიერთების შეთანხმების" შესახებ, რომელმაც ევროკავშირისაკენ გზა გაუხსნა აღმოსავლეთ ევროპის ე.წ. „სოციალისტური ბანაკის" ყოფილ წევრებს და მათ შორის სსრ კავშირის ევროზონაში არსებულ ქვეყნებსაც.

სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ, ევროკავშირში გამარტივებული წესით მიიღეს სოციალისტური ბანაკის ყოფილი ქვეყნები - პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ბულგარეთი; აგრეთვე, დაშლილი იუგოსლავიის შედეგად წარმოქმნილი დამოუკიდებელი ქვეყნები - ხორვატია, სერბეთი, სლოვენია, კოსოვო, მაკედონია და სხვები. საბჭოთა რესპუბლიკებიდან ევროკავშირის წევრები არიან ბალტიისპირეთის ქვეყნები - ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, ხოლო კანდიდატ ქვეყნებად ითვლება - საქართველო, უკრაინა და მოლდავეთი.

დღეისათვის ევროკავშირში გაერთიანებულია ევროპის 28 ქვეყანა, კავშირის დებულების შესაბამისად, ამ სახელმწიფოებმა თავიანთი სუვერენული უფლებების ნაწილი გადასცეს ევროკავშირის სამმართველო სტრუქტურებს . დღეისათვის ევროკავშირის გამგებლობაშია - საერთო ევროპული ბაზარი, საბაზო კავშირი, ერთიანი ვალუტა (ევრო), ევროპის განვითარების ბანკი, საერთო საწარმოო პოლიტიკის (მ.შ. სასოფლო-სამეურნეო) ჩამოყალიბება და სხვა.

ევროკავშირის მმართველობითი ორგანოებია - ევროპის კავშირის საბჭო, ევროპარლამენტი, ევროკომისია, ევროსასამართლო, ევრობანკი, საინვესტიციო ბანკი, სხვა სამმართველო სტრუქტურები, კერძოდ ევროპის რეგიონალური კომიტეტი, ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი, საერთო პოლიტიკისა და უშიშროების კომიტეტი. ევროკავშირს აქვს კონსტიტუცია, დროშა და ჰიმნი.

ევროსტრუქტურებში დასაქმებულნი არიან, მხოლოდ ევროსაბჭოს ქვეყნების მოქალაქეები, რომლებსაც შექმნილი აქვთ მუშაობისა და ცხოვრების შესაბამისი პირობები.

ევროკავშირის დამფუძნებელი ქვეყნებია - გერმანია, ინგლისი, ბელგია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საფრანგეთი. 2004 წელს ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებად მიიღეს ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებიც 2006 წლიდან ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები არიან. ევროკავშირის წესდებით ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ევროკავშირის წევრი, ამისათვის მათ უნდა აღიარონ ის პრინციპები, რომლებიც ევროკავშირის კონსტიტუციაშია. კერძოდ, პლურალისტური დემოკრატია, კანონის უზენაესობა, საკუთრებისა და მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვა და რაც მნიშვნელოვანია, უნდა ქონდეთ თანამედროვე კონკურენტუნარიანი ეკონომიკა. ევროკავშირის ქვეყნებს, უფლება აქვთ გავიდნენ ევროკავშირიდან და ამ უფლებით ჯერ-ჯერობით ისარგებლა მხოლოდ დიდმა ბრიტანეთმა. უნდა ითქვას ისიც, რომ ევროკავშირიდან გასვლა საკმაოდ რთულ პროცესებთანაა დაკავშირებული.

ბალტიისპირეთის ქვეყნები
(ესტონეთი, ლატვია, ლიტვა)

საინტერესოა, თუ რა მაჩვენებლებით შევიდნენ ევროკავშირში ბალტიისპირელი ქვეყნები და როგორია ეს მაჩვენებლები დღევანდელ საქართველოში? (ნაშრომში ძირითადად საუბარი სოფლის მეურნეობაზეა).

გამართული ეკონომიკით, საწარმოო კულტურითა და ორგანიზაციით, აგრეთვე კვალიფიციური კადრებით და საშემსრულებლო დისციპლინით, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები გამორჩეულები იყვნენ ყოფილ საბჭოთა კავშირში. რომლის დაშლის შემდეგ, მათ ეყოთ სიბრძნე, გონიერება და თავიდან აიცილეს სამოქალაქო ომი, ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგება, საწარმოების მასობრივი განკულაკება. შეინარჩუნეს საწარმოო სტრუქტურები და დასავლური ტრადიციები.

ბალტიისპირეთის სამი დამოუკიდებელი ქვეყნის საერთო ფართობი 174 ათასი კვ.კმ-ია, რაც სსრ კავშირის ტერიტორიის 1%-ია. მოსახლეობის საერთო რაოდენობა დამოუკიდებლობამდე 6,0 მილიონი, ანუ სსრ კავშირის მოსახლეობის 2,2%. აწარმოებდნენ სსრ კავშირში ერთობლივი ნაციონალური პროდუქტის 5,2%, რაც სერიოზული მაჩვენებელია. სსრ კავშირის დროსაც და დამოუკიდებლობის შემდეგაც, ეკონომიკის სტრუქტურაში წამყვანი მრეწველობა იყო. სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი 10-11 %-ს არ აღემატებოდა. სოფლის მეურნეობაში მაშინაც და დღესაც წამყვანი მეცხოველეობაა, რომელიც წარმოდგენილია მსხვილი კომპლექსების სახით.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, დასავლეთიდან უხვად შემოედინებოდა ფინანსური და ტექნიკური დახმარება, რომლებიც მათ მიზანმიმართულად და გონივრულად გამოიყენეს, ამავე დროს გეგმაზომიერად დაიწყეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი. შედარებით სწრაფად და უმტკივნეულოდ მოახერხეს ევროპული ქვეყნებთან ინტეგრირება, მათი დახმარებით დაიწყეს ევრობაზარზე გასვლა, რასაც პერსპექტივაში ერთიანი ბალტიისპირეთის ქვეყნების საბაზრო სივრცის შექმნაც მოჰყვა. ეს კი ურთიერთ ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას გულისხმობდა. ერთიანი საბაზრო სივრცე მათ გამოიყენეს ნაციონალური ეკონომიკის განვითარებისათვის, რაც წარმატებით განახორციელეს კიდეც. ნიშანდობლივია ისიც, რომ პრივატიზაციის პროცესიც თითეულმა მათგანმა უმტკივნეულოდ განახორციელა. ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება უპირველეს ყოვლისა მოარგეს თავიანთ ნაციონალურ ინტერესებს და ამას მიაღწიეს მაქსიმალური კორექტურობის პირობებში.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, 10 წლის განმავლობაში, ამ ქვეყნებს სერიოზული პრობლემები ქონდათ, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ტექნიკის გადანაწილებაში. მიწათმფლობელების ნაწილმა, რომლებსაც მიწები გასაბჭოების შემდეგ ჩამოართვეს და მასთან ერთად წარმოების საშუალებებიც (ზოგი გადაასახლეს კიდეც), მოითხოვეს არა მარტო ქონების დაბრუნება, არამედ საკმაოდ დიდი ფულადი კომპენსაციაც. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, არცერთ ქვეყანაში ადგილი არ ქონია დატაცებას და ძალადობას, მათ მოახერხეს და შეინარჩუნეს სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დიდი ნაწილი, ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელეს მუშაობა, მხოლოდ შემოსავლების განაწილების სისტემა შეცვალეს და მოარგეს საერთო

ინტერესებს. ამავე დროს სერიოზულად სწავლობდნენ, როგორც ხელისუფლება, ისე წარმოებაში დასაქმებული ადამიანებიც, ევროკავშირის სტრუქტურას, მათ მოთხოვნებს და ნაბიჯ-ნაბიჯ გააზრებულად მიდიოდნენ მიზნისაკენ. საზღვარგარეთის ფინანსური დახმარებები, მ.შ. საბანკო კრედიტიც, რომელიც მიიღეს მსოფლიო ბანკიდან, მათ გამოიყენეს წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დასანერგად და კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად.

ბალტიისპირეთის ქვეყნები, ევროკავშირის კანდიდატებად მიიღეს 2004 წელს და 2006 წელს ისინი უკვე ევროკავშირის წევრები გახდნენ. ორი წლის განმავლობაში ამ ქვეყნებმა კარგად შეისწავლეს ევროკავშირის ბაზარი, დაადგინეს ის ქვეყნები, რომლებშიც შეიძლებოდა მათი პროდუქციის რეალიზაცია, ანგარიში გაუწიეს იმასაც, რომ ევროკავშირის სხვა ქვეყნებიც ჭარბად აწარმოებდნენ მსგავს პროდუქციას და თვითღირებულების შემცირების ხარჯზე, სწორად მოახდინეს ფასების კორექტირება და მიაღწიეს კიდეც სასურველ შედეგს.

საქართველო, ბალტიისპირეთის ქვეყნები და ევროკავშირი
(მოკლე შედარებითი მიმოხილვა)

საქართველო დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე ცდილობს ევროსტრუქტურებში გაერთიანებას, თუმცა ეს პროცესი ბალტიისპირელებისაგან განსხვავებით, დღემდე გადაუწყვეტელია. მიზეზი ისაა, რომ დამოუკიდებლობის პირველივე პერიოდში დავუშვით სეროიზული შეცდომები, კერძოდ ნაჩქარევად, მოუმზადებლად ჩავატარეთ ე.წ. რეფორმები, შედეგად კი მივიღეთ უმართავი ქაოსი, რასაც მიწებისა და ქონების დატაცება მოჰყვა და ეს პროცესი მარტო სოფლის მეურნეობაში არ იყო. იგივე მოხდა სხვა დარგებშიც. სამწუხაროდ დაშვებული შეცდომები ვერც მომდევნო პერიოდში გამოვასწორეთ. ქვეყნის ინტერესები პოლიტიკურ კინკლაობას შევწირეთ და საბოლოოდ სამოქალაქო ომი, არჩეული ხელისუფლების დამხობა და აფხაზეთის ომი მივიღეთ.

სოფლის მეურნეობამ დაკარგა ისეთი ტრადიციული და შემოსავლიანი დარგი, როგორც მეჩაიეობაა. გაპარტახდა არა მარტო ჩაის პლანტაციები, არამედ კარგად აწყობილი ჩაის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურაც. დიდი ზიანი მიადგა მევენახეობა-მეღვინეობასაც. მეცხოველეობის კარგად აწყობილი სტრუქტურები მოიშალა, ადგილი ქონდა პირუტყვის მასობრივ დატაცებას, აღარაფერი დარჩა ერთ დროს წარმატებული აგრობიოლოგიური მეცნიერებიდან, რომლისგანაც დღემდე მხოლოდ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია შემოგვრჩა. სამი სასოფლო-სამეურნეო პროფილის უნივერსიტეტებიდან, აგრარული უნივერსიტეტი, კარგად აწყობილი ინფრასტრუქტურით გაიყიდა. დანარჩენები კი გაჩანაგდა. ასე მიზანმიმართულად დაანგრიეს ერთ დროს წარმატებული დარგი და ეს, ხელისუფლებაში 2004 წელს ძალადობრივი გზით მოსულმა ადამიანებმა გააკეთეს.

ეს პერიოდი მძიმე იყო ეკონომიკის სხვა დარგებისათვისაც. მაგალითად, თუ 1989 წელს ეკონომიკის მთლიან სტრუქტურაში მრეწველობა წარმოდგენილი იყო – 41%-ით, ვაჭრობა-12%-ით, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 8%-ით, სოფლის მეურნეობა -37%-ით, ხოლო ე.წ. „სხვა” შემოსავლები მხოლოდ 5,0%-ით 2008-2010 წლებისათვის ეს

მაჩვენებელლები ასე გამოიყურებოდა: მრეწველობა-13,5%, მშენებლობა-5,3%, ვაჭრობა-13,9%, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა-8,0%, სოფლის მეურნეობა - 11,0% ე.წ. „სხვა"- 48,5%. აღნიშნული მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება, ნათლად მიგვანიშნებს, თუ რამდენად იყო დეგრადირებული საქართველოს ეკონომიკა- 2012 წლამდე.

განუკითხაობა გრძელდებოდა სოფლის მეურეობაშიც. თუ 1990 წლამდე სახნავ მიწებში დაუმუშავებელი რჩებოდა-1,2%, 2000 წლისათვის 800 ათასი ჰექტრიდან დაუმუშავებელი დარჩა - 130 ათასი ჰა, ხოლო 2008 წლისათვის-157 ათასი ჰა.

ქვემოთ მოგვყავს 2008 წლისათვის ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს მიწის ფონდებისა და ენერგოუზრუნველუოფის შედარებითი მაჩვენებლები.

ცხრილი 1.

ქვეყნები	ქვეყნის მთლიანი ფართობი მლნ.ჰა	მ.შ. სავარგული მლნ. ჰა	სავარგული % მთლიანი ფართობი	ენერგო შეიარაღება ცხ.ძ	მთლიანი მოსახლეობიდან დასაქმებული სოფ მეურ.%
საქართველო	67,9	3,2	16,1	11,8	43,8
ესტონეთი	45,1	3,9	58,3	69,8	11,0
ლატვია	63,7	3,8	40,0	50,7	6,8
ლიტვა	65,2	3,7	60,3	50, 1	8,7

ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ სავარგულთა რაოდენობით ქვეყნები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან, თუმცა ქვეყნის მთლიან ტერიტორიასთან შეფარდებით განსხვავება დიდია, მაგ. საქართველოში ეს მაჩვენებელი 16,1 %-ია, ესტონეთში-58,3% ლატვიაში-40%, ხოლო ლიტვაში-60,3%. თუ მოცემული მაჩვენებლების სტრუქტურასაც გავიხსენებთ (ეს მაჩვენებლები ცხრილში არ არის), დავინახავთ, რომ საქართველოში სახნავი-800 ათასი ჰექტარია. მრავალწლიანი ნარგავები 360,0 ათასი ჰა, სათიბი 200 ათასი ჰა, ხოლო საძოვრებს (რომელთა ყუათიანობაც ნორმაზე ბევრად დაბალია) -1,8 მლნ.ჰა. ესტონეთში სახნავი 1,1 მლნ.ჰექტარია, მრავალწლიანი ნარგავი - 200 ათასი ჰა, ხოლო სათიბი 1,22 მლნ ჰა. ანალოგიური მდგომარეობაა ლიტვასა და ლატვიაშიც.

თუ ბალტიისპირეთის ქვეყნებში სახნავი მიწების დამუშავება 100%-ით მექანიზებულია, საქართველოში ეს მაჩვენებელი 28%-ს არ აღემატება, რაზედაც ენერგოშეიარაღების მაჩვენებელიც მეტყველებს. საქართველოში იგი 11,8 ცხ.ძ, ბალტიისპირეთში 5-ჯერ და 6-ჯერ მეტი. ამის მიზეზი, როგორც უკვე აღნიშნული იყო საქართველოს მთიანი რელიეფია. ენერგოშეიარაღების დაბალი მაჩვენებელია იმის მიზეზიც, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში-ქვეყნის მოსახლეობის 43,8%-ია. ესტონეთში-11,0%, ლატვიაში-6,8%, ხოლო ლიტვაში-8,7%.

რაც შეეხება მეცხოველეობას, მარტო პროდუქტიულობის მაჩვენებლების შედარებაც კი საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად ჩამორჩენილია ეს დარგი ბალტიისპირეთში. მაგალითად საშუალო წველადობა საქართველოში 1060 ლიტრი იყო,

ესტონეთი 4020, ლატვიაში 3060, ხოლო ლიტვაში 3580 ლიტრი. ამ დროს კავშირის მასშტაბით ეს მაჩვენებელი 2100 ლიტრს უდრიდა. წლიური კვერცხმდებლობა საქართველოში 170 ცალია, ესტონეთში-277, ლიტვაში-243, ხოლო სსრ კავშირში იყო - 212 ცალი.

მნიშვნელოვანია მარცვლეულის წარმოება. როგორც უკვე იყო აღნიშნული ეს პროდუქცია სტრატეგიული მნიშვნელობისაა და იგი მეცხოველეობის განვითარების საფუძველსაც წარმოადგენს.

მარცვლეულის წარმოება

ცხრილი 2.

ქვეყნები	საქართველო	ესტონეთი	ლატვია	ლიტვა
ფართობი (ათასი ჰა)	270	400	740	1,5 მლნ.ტ
წარმოება (ათასი ტ)	50	980	1,75 მლნ.ტ	2,9 მლნ.ტ
მოსავალი ცენტ.	22,0	26,1	26,8	27,1

მარცვლეულის საკუთარი წარმოებით ბალტიისპირელები არა მარტო იკმაყოფილებდნენ საკუთარ მოთხოვნილებას, არამედ (ძირითადი ფურაჟის სახით) გაჰქონდათ იგი სხვა რესპუბლიკებში. როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, ბალტიისპირელებს (განსაკუთრებით ლატვიასა და ლიტვას) საკმაოდ დიდი ფართობები აქვთ გამოყოფიოლი მარცვლეულის ქვეშ, ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მარცვლეულის 50%-ზე მეტს ისინი იყენებდნენ ფურაჟის დასამზადებლად. ამ რესპუბლიკებში კარგად იყო წარმოდგენილი კარტოფილისა და ჭარხლის წარმოებაც, ქონდათ ასევე ხეხილის ბაღებიც, განსაკუთრებით კურკოვანი. კერძო სექტორში ჭარბობდა ვაშლისა და მსხლის კარგად მოვლილი ბაღები, თუმცა მათი ხარისხი დიდად ჩამოუვარდებოდა საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებს. თუ ბალტიისპირეთის ქვეყნებში მემცენარეობასა და მეცხოველეობას შორის შეფარდება იყო 25/75 მეცხოველეობის სასარგებლოდ, საქართველოში ეს მაჩვენებელი საპირისპირო იყო (ცნობისათვის ცხრილში მოცემულია 1990 წლის მონაცემები, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ საქართველოში დარგის შესაძლო განვითარების პერსპექტივები).

უკვე ითქვა, იმის შესახებ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა საბჭოთა კავშირის დროს, ძირითადად ორიენტირებული იყო ელიტარული პროდუქციის წარმოებაზე. ჩვენ შემოგვჭონდა დიდი რაოდენობით მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქცია, მაგრამ გაგვჭონდა საკავშირო ბაზარზე ღვინო, კონიაკი, ციტრუსები, ხილი და რაც მთავარია ადამიანების კვებისათვის ისეთი აუცილებელი პროდუქცია, როგორიცაა მზა ჩაი, გარდა ამისა გაგვჭონდა ეთერზეთები, ბოსტნეული, ადრეული კარტოფილი, მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც. თუ დავაკვირდებით

პროდუქციის იმპორტ-ექსპორტის ბალანსს, დავინახავთ, რომ მიუხედავად შედარებით არახელსაყრელი პირობებისა, საერთო ჯამში, საქართველოს სოფლის მეურნეობა მომგებიანი და წარმატებული დარგი იყო.

ჩვენ შეგნებულად მოვიყვანეთ შედარებისათვის კომუნისტების დროინდელი ციფრობრივი მასალა, თუმცა მაშინაც და დღესაც ვთვლიდით, რომ 1990 წლისა და მისი წინამდებარე პერიოდები არ იყო ის მაქსიმუმი, რომლის გაუმჯობესებასაც არ შეიძლებოდა, პირიქით იმ დროს საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა კოლხეთის დაბლობის ათვისების სამუშაოები, რითაც საბოლოო ანგარიშით ქვეყნის აქტიურ მიწათმოქმედებას დამატებით 300 ათასი ჰა მიწა ემატებოდა. აქვე საჭიროდ ვთვლი, იმის აღნიშვნასაც, რომ საქართველომ პერსპექტივაში უნდა მოახერხოს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოება, რაც აუცილებელია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადობისათვის და ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის, მ.შ. საქართველოშიც, ეკონომიკური მდგრადობის მაჩვენებელი – მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და ზრდის დინამიკაა. (მშპ), ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ამ მაჩვენებლების ოდენობა (ღირებულებითი ფორმით) ადამიანების ყოფითი და სოციალური მდგომარეობის მდგრადობას ასახავს, ანუ მისი ცხოვრების კეთილდღეობის მაჩვენებელია.

მშპ – ის სიდიდე ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მაჩვენებელია. მასზე მოქმედებს არა მარტო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, არამედ გარე ფაქტორებიც, კერძოდ მსოფლიო და რეგიონალური კრიზისები, პანდემიური ხასიათის დაავადებები, სახლემწიფოთა შორის კონფლიქტები და ა.შ.

ქვეყანა, რომელიც მომზადებული ხვდება ამ გამოწვევებს, და ამის მაჩვენებლებია საბანკო სისტემის მდგრადობა, სტრატეგიული მასალების და კვების პროდუქტების მარაგები, მოსალოდნელ საფრთხეებზე მოსახლეობის დროული ინფორმირება, მეზობელ ქვეყნებთან და მსოფლიო ეკონომიკურ სტრუქტურებთან დროული და პარტნიორული ურთიერთობა და ა.შ. შედარებით იოლად და უმტკივნეულოდ გადაიტანს ეკონომიკურ კრიზისებს.

სამწუხაროდ, საქართველო დამოუკიდებლობის ყველა ეტაპზე მოუმზადებელი შეხვდა, როგორც შიდა, ისე გარე კრიზისულ პროცესებს და ამის მიზეზია მოსახლეობის პოლიტიკური გაუთვითცნობიერება და შედეგიც არადამაკმაყოფილებელია?! შეიქმნა პროდუქციის დეფიციტი. ქვეყანა, რომელიც უცხო ქვეყნების დახმარებაზეა ორიენტირებული (და ასეთია დღევანდელი საქართველო) ეკონომიკურ კრიზისებს ვერ გაუძლებს.

განვითარებულ ქვეყნებში, მშპ სტრუქტურაში დომინირებს მრეწველობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაც კარგადაა განვითარებული (სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური პროგრესის ზრდის საფუძველიც მრეწველობაა) მისი ხვედრითი წილი 8-12% -ს არ აღემატება.

მიუხედავად, იმისა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჯერ-ჯერობით არ მიეკუთვნებიან მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, ამ მაჩვენებლების შეფარდება აქაც მრეწველობის უპირატესობით ხასიათდებოდა. დამოუკიდებლობამდეც და დღესაც. მაგალითად ლატვიაში ეს შეფარდება ასეთია: მრეწველობა 87%, სოფლის მეურნეობა 13%, ლიტვაში შესაბამისად 89% და 11%, ესტონეთში უფრო მაღალია - 94% და 6%. საქართველოში ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ თითქმის თანაბარია (სამწუხაროდ საქსტატისტიკის მონაცემები არ იძლევა სწორი შეფარდების დადგენის საშუალებას).

ბალტიისპირეთის ქვეყნებში, საბჭოთა ანექსიამდეც (1940 წელი), შემდეგაც და დღესაც, ძირითადი საექსპორტო პროდუქცია სამრეწველო ხასიათისაა. ესაა ელექტრო ტექნიკა, ჩარხმშენებლობა, მცირე ტონაჟის საზღვაო კატარღები, ფარმაცევტიული ნაწარმი, საფეიქრო ნაწარმი (ძირითადად ტრიკოტაჟი) დამუშავებული ხის ნაწარმი (ავეჯი), ხის მორები, ძვირფასი ლითონები და ა.შ. საექსპორტო პროდუქციაში, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი - სამივე ქვეყანაში ტრადიციულად 4-5% -ს არ აღემატება.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაზე გავლენას ახდენს პოლიტიკა. ქვეყანა, რომელშიც შიდა პოლიტიკური ვითარება დაძაბულია, ცხადია წარმატებულ ეკონომიკას ვერ შექმნის (ამის ნათელი მაგალითი საქართველოა). ეკონომიკაზე მოქმედებს საგარეო პოლიტიკაც, ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან და განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებთან, სამწუხაროდ იქაც მოვიკოჭლებთ.

ამასთან დაკავშირებით მკითხველს, მინდა შევახსენო შემდეგი: როდესაც ფაშისტურმა გერმანიამ 1940 წელს დაიპყრო საფრანგეთი, მან დაპყრობილი ქვეყნის სამხრეთი ნაწილის ოკუპაცია არ მოახდინა და იქ შექმნა ე.წ. "ბუფერული სახელმწიფო"! რატომ?! იმიტომ, რომ სამხრეთ საფრანგეთი იყო და დღესაც რჩება ელიტარული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ რეგიონად, მისი ოკუპაცია გამოიწვევდა, იქ არსებული ეკონომიკური სიტუაციის არევას. გერმანელებს კი, ცხადია აწყობდათ დალაგებული სიტუაცია და ეს მოახერხეს კიდეც. სამხრეთ საფრანგეთი გერმანიის იმპერიას აწვდიდა ღვინოსა და ღვინის პროდუქციას, ცხადია სათანადო ანაზღაურების საფასურად. ეკონომიკური თვალსაზრისით ასეთი მდგომარეობა ორივე მხარისათვის მისაღები და მომგებიანი იყო. გერმანელები შეუფერხებლად იღებდნენ მათთვის საჭირო პროდუქციას, ხოლო სამხრეთ საფრანგეთის მთავრობა შესაბამის ანაზღაურებას. შედეგი კი იყო ის, რომ ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით საფრანგეთი ომიდან თითქმის უდანაკარგოდ გამოვიდა.

ბალტიისპირეთის ქვეყნები, ოდითგანვე რუსეთთან დაპირისპირებულები იყვნენ. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებმა შეინარჩუნეს თითქმის ყველა ის კავშირები, რომლებიც დამოუკიდებლობის მიღებამდე ქონდათ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან და მ.შ. რუსეთთან. მიუხედავად იმისა, რომ ბალტიისპირელები 2006 წლიდან ევროკავშირის წევრები არიან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი ნაწილი (განსაკუთრებით მეცხოველეობის) მათ რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გააქვთ. იგივე ითქმის უკრაინაზეც, რომელიც ომის მდგომარეობაში იმყოფება რუსეთთან, მაგრამ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გაუწყვეტია!.. რატომ? იმიტომ, რომ ქვეყნის მდგრადობა უპირველეს ყოვლისა ეკონომიკაზე დგას, ხოლო ეკონომიკური წარმატება

მოითხოვს გააზრებულ პოლიტიკას, როგორც ქვეყნის შიგნით, უფრო მეტად საერთაშორისო ურთიერთობაში.

2015 წლის მონაცემებით, ბალტიისპირეთის ქვეყნებში წარმოებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის 85% გავიდა ძირითადად რუსეთის ბაზარზე, ვინაიდან მათ ევროპულ ბაზარზე (განსაკუთრებით მეცხოველეობაში) კონკურენცია ვერ გაუწიეს ევროკავშირის სხვა ქვეყნების მიერ წარმოებულ პროდუქციას.

მივუბრუნდეთ საქართველოს - საქართველო ოდითგანვე მეღვინეობის ქვეყანა იყო. დღესაც ამ პროდუქციის ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია საექსპორტო პროდუქტში. სამწუხაროდ ევროპაში, რომელიც გაჯერებულია მაღალხარისხოვანი ღვინის პროდუქციით, საქართველომ „ფეხი ვერ მოიკიდა". დღესაც საქართველოში წარმოებული ღვინის და ღვინის პროდუქტების 70%-ზე მეტი რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გადის.

საინტერესოა ის სასტარტო მონაცემები, რომლითაც საქართველო აპირებს ევროკავშირში შესვლას. აკად. ნ. ჭითანავას მონაცემებით, რომელიც აქტიურად სწავლობს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პრობლემებს, 1990 წელს სსრ კავშირის მშპ-ში საქართველო წარმოდგენილი იყო 1,9%-ით. აქედან სამრეწველო პროდუქციაზე მოდიოდა 1,7 %, ხოლო სასოფლო-სამეურნეოზე - 1,6%; სსრ კავშირში წარმოებული ღვინის 11,0%, ჩაის პროდუქციის 96,0%, ციტრუსების - 100%, ეთერზეთების - 82,0% მოდიოდა საქართველოზე. ცხადია გაგვჭონდა სხვა სახის პროდუქციაც, კერძოდ ბოსტნეულ-ბაღჩეული, ხილი, ადრეული კარტოფილი და ა.შ. მაგრამ მათი ღირებულებითი სიდიდე 1,0-1,3% არ აღემატებოდა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან საქართველოს, როგორც არაერთხელ ავღნიშნეთ შემოქონდა მარცვლეული – ძირითადად ხორბალი (სასურსათო და საფურაჟე) და მეცხოველეობიდან ხორცი, მ.შ. გადამუშავებული სახით. 1990 წელს შეფარდება ასეთი იყო: შემოვიტანეთ 6,4 მლრდ. მანეთის პროდუქცია, ხოლო გავიტანეთ - 6,08 მლრდ. მანეთის პროდუქცია. როგორც ვხედავთ ბალანსი საქართველოს სასარგებლოდ არ იყო.

შენიშვნა: 1988-1990 წლები საქართველოს ეკონომიკაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა.

საბჭოთა კავშირის დროს, სხვა რესპუბლიკებიდან საქართველოს შემოქონდა, როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო სამეურნეო პროდუქცია (ნედლეულის და სხვა ნაწარმის სახით). ყველაზე მეტი რაოდენობით შემოდიოდა ქიმიური კომპლექსები -90%, ქაღალდის ნედლეული - 100%, ნატურალური ბამბის ბოჭკო - 10% მარცვლეული (საკვები და საფურაჟე) - 65-70%, ხორცის პროდუქცია - 45%, გარდა ამისა კარაქი, შაქარი, ბრინჯი და ა.შ.

სამწუხაროდ, საწარმოები, რომლებიც შემოტანილ ნედლეულზე მუშაობდნენ, დღეს აღარ ფუნქციონირებენ. მაგ. ზუგდიდის შესანიშნავად აღჭურვილი ქაღალდის კომბინატი, რომლის პროდუქციის ნაწილი სხვა ქვეყნებშიც კი გადიოდა, გორის ბამბეულის კომბინატი, თბილისის მაუდის კომბინატი.

ნაწილობრივ შემოტანილ ნედლეულზე მუშაობდა რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, თბილისის საავიაციო ქარხანა და სხვა ქარხნები. კოოპერაცია კავშირში

მიმობნეულ საწარმოებს შორის, გეგმიური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. იგი უზარმაზარი, მრავალეროვანი მდგრადობის საფუძველსაც წარმოადგენდა.

დამოუკიდებლობის შემდეგ, მაგ 1995 წლისათვის საქართველოს საგარეო ბრუნვა 554,3 მლნ. დოლარი იყო, ხოლო 2016 წელს ეს ორჯერ და მეტად გაიზარდა და შეადგინა 11,9 მლრდ. დოლარი, აქედან ექსპორტი 155,2 მილიონი დოლარიდან გაიზარდა 2,11 მილიარდ დოლარამდე, იმპორტი 4887,7 მილიონი დოლარიდან 9852 მილიონ დოლარამდე.

2018 წელს საქართველოს ურთიერთობა ქონდა 137 ქვეყანასთან, აქედან მხოლოდ 44 ქვეყანასთან ქონდა დადებითი სალდო.

საინტერესოა რუსეთთან სავაჭრო ბრუნვის მონაცემები. იგი ცვალებადია. რუსეთიდან შემოგვაქვს (უნდა გავმეორდეთ) ხორბალი, მზესუმზირის ზეთი, გაგვაქვს ღვინო, ფეროშენადნობი, მინერალური წყლები, თხილი. სამწუხაროდ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობაში, საქართველოს უარყოფითი სალდო ქონდა და აქვს. ამის ძირითადი მიზეზი არის დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც რუსეთთან უფრო გაიზარდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

გარდა რუსეთისა, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები აქვს მეზობელ ქვეყნებთან, თურქეთთან, ირანთან აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ევროკავშირის ქვეყნებთან. ქართული ღვინო გამოჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე, ჩინეთში და სხვა ქვეყნებში.

2016 წელს, საქრთველოს საექსპორტო პროდუქციაში ყველაზე მეტად წარმოდგენილი იყო თხილი 8,0%, ღვინო შემცირდა 5,4%-მდე. ცნობისათვის, 2000-2006 წლებში ქვეყნიდან გაიტანეს 500 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ჯართი?!! – **სამარცხვინოა.**

საბჭოთა კავშირის დროს, როგორც ცნობილია, საქართველო ჩაის პროდუქციის სერიოზული ექსპორტიორი იყო. 2015 წელს კი ქვეყანაში შემოტანილი იქნა 9,1 მლნ. დოლარის მზა ჩაი, 2015 წლისათვის 12,8 მლნ. დოლარის, მათ შორის 3,9 მლნ. დოლარის თურქეთიდან.

ცნობისათვის გასული საუკუნის 70 წლებში, ჩაის კულტურისა და მზა ჩაის დამზადებაში თურქეთს საქართველო ეხმარებოდა, ამ მიზნით თურქეთში ანასეულიდან და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებიდან მივლინებული იყო სპეციალისტების ჯგუფი. 2010-2016 წლებში საქართველოდან გაიყვანეს 334 მლნ. დოლარის ღირებულების ცხვარი, ძირითადად მუსლიმანურ ქვეყნებში.

2012 წლიდან მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, საქართველოში იზრდება უცხოური ინვესტიციები. 2015 წელს მათი ოდენობა 449,8 მლნ. დოლარი იყო, ხოლო მომდევნო 2016 წელს ეს მაჩვენებელი 1,2 მლრდ, დოლარს აღემატებოდა. შემოსული ინვესტიციიდან 1,4, მლრდ. დოლარი მოხმარდა ტრანსპორტს და კავშირგაბმულობას, 880 მლნ. დოლარი მრეწველობას, 924 მლნ. დოლარი ენერგეტიკას, 568 მლნ. დოლარი მშენებლობას, ხოლო 70 მლნ. დოლარი სოფლის მეურნეობას, რაც შემოსული ინვესტიციების მხოლოდ 1,0%-ია. ასეთ მოკლე დროში, ასეთი მოცულობის ინვესტიცია, საქართველოში არასოდეს განხორციელებულა, თუ

რამდენად ეფექტიანად იყო იგი გამოყენებული, ბუნდოვანია. ინვესტიციები ძირითადად მიზნობრივი ხასიათის იყო, მაგრამ ვთვლით, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი 1,0% ჩვენი აზრით გამოწვეულია დარგის პრობლემების არაკომპეტენტურად გააზრებით.

ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა კანდიდატი ქვეყნებისათვის, რომლის შესრულებაც მკაცრად კონტროლდება ერთ სულ მაცხოვრებელზე, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობაა, ეს მაჩვენებელი ცვალებადია, 2018 წელისათვის იგი 4900 ევროზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. საქართველოში ამ მაჩვებებლის დინამიკა ასეთია:

ცხრილი. 3.

წლები	2010	2012	2014	2016	2018
მშპ მლრდ. ევრო	11,6	15,3	16,5	14,3	13,8
ერთ სულზე გადანგარიშებული დოლარებში	2623	3523	3676	3561	3381

როგორც მე-3 ცხრილიდან ირკვევა, საქართველოში ეს მაჩვენებელი ცვალებადია, 2010 წლიდან - 2623 დოლარი, იგი 2016 წლამდე იზრდება და აღწევს 3676 დოლარს, მომდევნო წლებში მცირდება - 2016 წელს - 3561 დოლარამდე, 2018 წელს – 3381 დოლარამდე, მომდევნო წლების მონაცემები ვერ მოვიპოვეთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი შემცირებულია.

ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის მთავარი ფაქტორი სტაბილიზაციაა, რომელიც საქართველოში ბოლო წლებში სერიოზულად გაუარესდა. პოლიტიკურმა ბრძოლამ დაკარგა რაციონალურობა და იგი ქიშპობაში და ურთიერთბრალდებებში გადაიზარდა. ეკონომიკის განვითარებას სერიოზული დარტყმა მიაყენა მსოფლიო პანდემიამ - COVID-19 –ის სახით, რომელიც დღესაც გრძელდება და მისი პროგნოზირება ვერ მოხერხდა.

ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნილებით – მშპ-ში მრეწველობის ხვედრითი წილი 25-27%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, საქართველოში ეს მაჩვენებელი 2016 წელს – 16,8%, ხოლო 2018 წელს – 19,7% იყო. არის მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავენ საგარეო ვალების სიდიდეს – (ეს მოთხოვნებიც ცვალებადია). საქართველოში ამ მხრივ შემდეგი სურათი გვაქვს: 1995 წელს-საგარეო ვალი 1,15 მილიარდი დოლარი იყო, 2011 წელს -11,0 მილიარდი დოლარი, 2015 წელს -15,3 მილიარდი დოლარი, მაშინ როდესაც 2015 წელს ქვეყნის მშპ სიდიდე – 13,9 მლრდ, დოლარს შეადგენდა. როგორც ვხედავთ ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემები გვაქვს. ფაქტიურად საგარეო ვალი უტოლდება წლის განმავლობაში ახლად შექმნილი პროდუქტის ღირებულებას – ეს მეტად დასაფიქრებელი ფაქტია.

მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდე და მისი სტრუქტურა, ქვეყნის ეკონომიკის სახეა. მასშია ფოკუსირებული ყველა იმ პროდუქციის ღირებულება, რომელიც

ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში იწარმოება. თუმცა ქვეყანაში წარმოებული ყველა პროდუქციის დადგენა ძნელია. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ მშპ სტრუქტურაში სამწუხაროდ ფიქსირდება ე.წ. „სხვა" შემოსავალიც, რომლის წარმომავლობის გაშიფვრა თითქმის შეუძლებელია?! თვით კომუნისტურ სისტემაშიც კი?! მაშინდელი მონაცემებით მშპ სტრუქტურაში მას 5% ეჭირა. სამწუხაროდ, დამოუკიდებელ საქართველოში ამ მაჩვენებლის ოდენობა კატასტროფულად გაიზარდა და როგორც ვწერდით 47-50%-ის ფარგლებში მერყეობს. სტატისტიკამ დღემდე ვერ მოძებნა ფორმულა, რომლითაც დადგინდებოდა ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის სრული აღწერა. ეს მოვლენა ყველა ქვეყნის სატკივარია. მსოფლიო სტანდარტების მიხედვით ეს მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 8-10 %-ს. საქართველოში კი - დამოუკიდებლობის შემდეგ ეს მაჩვენებელი გონივრულ ფარგლებს, თითქმის 3,3-ჯერ აღემატება. განსაკუთრებით ძნელდება წარმოებული პროდუქციის აღრიცხვა ინდივიდუალურ სექტორში, იქაც იხარჯება ცოცხალი და განვითარებული შრომა, იქმნება პროდუქცია, ხოლო დანახარჯების ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელია. ასეთ საწარმოებს მიეკუთვნებიან: ხელოსნობა, საყოფაცხოვრებო სექტორი, სტიქიური ვაჭრობა, ინდივიდუალური სატრანსპორტო მომსახურება და სხვა. ევროკავშირის ქვეყნებში დაშვებულია შავი ლაქების არსებობა 5-7%-ის ფარგლებში, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია თავად ამ ელემენტების მიახლოებითი შინაარსი მაინც.

როგორც დავინახეთ, საქართველოს მშპ დინამიკა, მისი სიდიდე და მოცულობა ჯერ-ჯერობით ვერ პასუხობს ევროკავშირის მოთხოვნებს. მისი სტრუქტურა არაა მზარდი, შედარებით წარმატებულ 2013 და 2014 წლებს, მომდევნო წლებში მოჰყვა სერიოზული ვარდნა. ცხადია ამის მიზეზების გარკვევა არაა ძნელი, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც დაბალი ხარისხის პროდუქციაა, რომელიც ვერ გაიყიდა და მასზე გაწეული ხარჯების ამოღება არ მოხდა. ობიექტურ მიზეზებთან ერთად (საერთაშორისო, რეგიონალური, დარგობრივი და ა. შ. კრიზისები) რომელთა აღმოფხვრა ისეთ ქვეყანას როგორიც საქართველოა არ ძალუძს, ადგილობრივი ფაქტორებიც, მაგალითად დაბალი კვალიფიკაცია, გამოყენებული მატერიალური საშუალებების უხარისხობა, ენერგეტიკული საშუალებების არასტაბილური მიწოდება და ა.შ. საკმაოდ ზიანს გვაყენებს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტორები, მაგალითად, როდესაც მალფუჭებადი პროდუქციის შენახვის წესებია დარღვეული, დროულად ვერ ვაწვდით მომხმარებლებს, მოუწესრიგებელია გზები, ტრანსპორტი და ა.შ.

არაა სტაბილური ერთ სულზე გაანგარიშებული მშპ, ჩვენს პირობებში იგი 3,5 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს და დადგენილ ზღვარს (4900 ევროს), როგორც დავინახეთ საგრძნობლად ჩამორჩება.

ევროკავშირის ქვეყნის მოსახლეობას აღიზიანებს ისიც, რომ ევროკავშირი გადაიქცა ზესამთავრობო სტრუქტურად და კარნახობს მასში შემავალ სახელმწიფოებს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსაც.

სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ბევრი პრობლემა დაგროვდა. ქვეყანა გადასარჩენია, საყოველთაო სიბრძნე და გონიერებაა ის მექანიზმი, რომელიც შესძლებს ეროვნულ სიმშვიდეს, რაც აუცილებელია აღმშენებლობისათვის, რომელმაც კეთილდღეობამდე უნდა მიგვიყვანოს.

პრაქტიკულად საქართველომ უნდა შესძლოს ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი ქვეყნის შექმნა, რაც გონივრულ და მძიმე შრომას მოითხოვს. ევროკავშირში პროტექციით შესვლა, უპირველეს ყოვლისა ჩვენს ქვეყანას დააზარალებს. ქართული სახელმწიფოს მიზანი, არა მარტო იქ შესვლაა, არამედ მყარად დარჩენაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირში შესვლას აზრი არა აქვს.

დროულად უნდა შეიქმნას ანალიტიკოსების ჯგუფი, რომელიც კრიტიკულად შეისწავლის ბალტიისპირეთის ქვეყნების დღევანდელ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ასევე კრიტიკულად უნდა შეისწავლოს, საქარველოში არსებული ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ქვეყნის შესაძლებლობები მაღალხარისხოვანი პროდუქციის საწარმოებლად, შიდა ბაზრისა და ევროკავშირში შემავალი ქვეყნების საბაზრო მოთხოვნები, არსებული ფასები და მათი კრიტიკული შედარება თვითრირებულებასთან და რაც მთავარია, რა სახის პროდუქცია უნდა ვაწარმოოთ და როგორ, რომ ვიყოთ კონკურენტუნარიანები და მისაღები პარტნიორი ევროკავშირის ქვეყნებისათვის და საიმედო ქვეყანა საქართველოს მოქალაქეებისათვის.

ევროკავშირი, რომ პანაცეა არაა, საილუსტრაციოდ გთავაზობთ ისეთი წარმატებული ქვეყნის მონაცემებს, როგორც **ისრაელია.**

ისრაელის სახელმწიფო
(მოკლე მიმოხილვა)

თანამედროვე ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა 1948 წელს პალესტინაში. მისი ტერიტორია დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე 4-ჯერ პატარაა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით 2,5 – ჯერ აღემატება მას.

ისრაელი, არცერთი საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო გაერთიანების წევრი არაა. სხვა ქვეყნებთან მას მხოლოდ პარტნიორული ურთიერთობები აქვს, რომლის საფუძველიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებია.

ებრაელ ერში სახელმწიფოების აღდგენის იდეა, ყოველთვის იყო. ეს იდეა რეალისტური გახდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც დაიშალა ევროპის სამი უმძლავრესი იმპერია (ავსტრიის, გერმანიის და რუსეთის) და საფუძვლიანად შეირყა დიდი ბრიტანეთის იმპერია.

1918 წელს დაარსდა ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის სპეციალური ფონდი, რომლის ფილიალებიც გაიხსნა იმ ქვეყნებშიც, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ებრაელები.

1948 წლისათვის, ფონდში, აკუმულირებული იყო იმ დროისათვის კოლოსალური კაპიტალი, 9 მლრდ. დოლარზე მეტი. ამ ფონდმა დიდი როლი შეასრულა ისრაელის სახელმწიფოს აღორძინება, განვითარება, განმტკიცებაში.

აღნიშნული ფონდის ბაზაზე, ისრაელის სახელმწიფოს დამაარსებლებმა, შექმნეს 4 ბანკი - თავდაცვის, ეკონომიკური განვითარების, მეცნიერებისა და განათლების, აგრეთვე ადმინისტრაციული ხარჯების.

ბანკების მუშაობის პრინციპი იყო შემდეგი: ძლიერი მოქალაქეები ქმნიან ძლიერ სახემწიფოს. ეს პრინციპი დაედო საფუძვლად საბანკო სისტემის მუშაობასაც.

სოფლის მეურნეობის საფინანსო დახმარების სიტემაც ორიენტირებული და მორგებული იყო ფერმერის ინტერესებზე, ისეთნაირად, რომ არ დაზარალებულიყო საბანკო და სახელმწიფო ინტერესები.

ინფორმაციისათვის – სახელმწიფო მოხელეების ხელფასების ოდენობის ორიენტირი, ქვეყანაში საშუალო ხელფასის სიდიდე გახლდათ, მაგალითად, პრემიერ მინისტრის ხელფასი სამჯერ აღემატებოდა ზღვრულ ოდენობას, ხოლო სხვა ჩინოვნიკების ხელფასის სიდიდეც გამომდინარეობდა პრემიერ-მინისტრის სახელფასო განაკვეთიდან. რამდენი პროცენტითაც გაიზრდებოდა საშუალო ხელფასი, იმდენი პროცენტით გაიზრდებოდა, ან შემცირდებოდა სახელმწიფო მოხელეების ხელფასებიც (ეს სიტემა არ ვრცელდებოდა თავდაცვისა და სამართალდამცავ სტრუქტურებზე).

დღევანდელი ისრაელის სახელმწიფო წარმატებულია მსოფლიოში. ამ პროცესს საფუძველი ჩაეყარა 1948 წლიდან. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ერთ-ერთი პირველი დეკრეტის შესაბამისად, ისრაელში ახლად შექმნილი საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა ყოფილიყო უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი.

სამთავრობო გადაწყვეტილებები ცხადია სოფლის მეურნეობაზეც ვრცელდებოდა. ისრაელმა მეცნიერებმა შეძლეს ამ დარგის მეცნიერულ რელსებზე გადაყვანა, რამაც მცირემიწიანი ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის თვალსაზრისით, მსოფლიოში მისაბაძი გახადა. დღევანდელი ისრაელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყანაა და ეს პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50 წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს.

ისრაელში, მიუხედაად იმისა, რომ იგი ძალიან მცირე ფართობზეა წარმოდგენილი, არის ზღვა, უდაბნო, მთები, მდელო, ბუჩქნარი და ტყეც (მ.შ. ხელოვნურად გაშენებულიც).

ამ პატარა სივრცეზე მოიპოვება რკინა, ქრომი, სპილენძი, მანგანუმი, ნავთი, ბუნებრივი გაზი... რომელთა მეშვეობითაც ისრაელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა გახდა.

სამეურნეო საქმიანობისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია ზღვის სანაპირო ზოლი. რომელიც სიგრძეში 850 კმ-ზეა გადაჭიმული, ხოლო სიგანე არ აღემატება 25-30 კმ-ს. სწორედ აქ მდებარეობს ქვეყნის დიდი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები, აქვეა თავმოყრილი ქვეყნის მოსახლეობის (8,5-9,0 მილიონი) დიდი ნაწილი. ქვეყნის სამხრეთი უჭირავს უდაბნოს, სადაც ცხოვრებისათვის ძალიან მკაცრი პირობებია. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო ამ ტერიტორიის ათვისების პროცესი, რომელიც დღემდე წარმატებით გრძელდება.

ქვეყნის კლიმატი მკაცრია-ცხელი ზაფხულითა და წვიმიანი ზომიერი ზამთრით, ხშირია ქარები. ნალექების განაწილება არათანაბარია, წყლის რესურსები კი ძალზედ შეზღუდული. მუდმივი მდინარე, რომელიც უწყვეტად მიედინება ერთია-იორდანი,

ამიტომ მასიურად იყენებენ მიწისქვეშა წყლებს. მათი დამუშავება თანამედროვე ტექნოლოგიებით ხდება. მიუხედავად ამისა ისრაელი მტკნარი წყლის გამოყენებით ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შვეიცარიის მსგავსი ქვეყანაა.

მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, ქვეყანაში მრავალფეროვანი ფლორაა. წარმოდგენილია 200 სახეობის მცენარე, რომელთა შორის 115 ენდემურია. ისრაელში მცენარეებს მზრუნველობით ეპყრობიან, მათი მოჭრა დაუშვებელია, იჭრება მხოლოდ პროფილაქტიკური აუცილებლობის შემთხვევაში.

ისრაელის მიწებიც მრავალფეროვანია, გვხვდება ძალიან ნაყოფიერ (სანაპირო ზოლი) და ისეთებიც, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ ხელოვნურ განაყოფიერებას. მიწების გამოყენების ეფექტიანობის თვალსაზრისით, ეს პატარა ქვეყანა პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების რაოდენობა 580 ათასი ჰექტარია, მუშავდება მისი 75 % ანუ 420-430 ათასი ჰა. დამუშავებული მიწებიდან 245 ათასი ჰექტარი უჭირავს მინდვრის კულტურებს, 85 ათასი ჰა ციტრუსებს, ხეხილის ბაღებს, ვენახს, დანარჩენ ფართობზე მოჰყავთ ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები. დღეისათვის ქვეყანაში კარგადაა განვითარებული სასათბურე მეურნეობები, რომლებიც წარმოდგენილია უდაბნოსპირა მიწებზეც და ბოსტნეულ-ბაღჩეულის წარმოების 82% -ს იძლევიან, რომელთა 60% - გადის ექსპორტზე. დახურულ გრუნტში მოჰყავთ ძირითადად პამიდორი, კიტრი, ნიორი, ხახვი, წიწაკა, ყველა სახის ბოსტნეული და მარწყვი (წელიწადის ყველა დროში).

მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ ხორბალი, ქერი, სიმინდი. მოსავლიანობა მაღალია (50-55 ცენტნერი), რაც მიიღწევა თანამედროვე აგროტექნიკის, მინერალური სასუქების ზომიერად გამოყენებით, ეფექტური მელიორაციული ღონისძიებებით. 1985 წელს აწარმოეს 4,3 მილიონი ტონა მარცვლეული, 2015 წელს 5,1 მილიონი ტონა. წარმოებული მარცვლეულის 50%-ზე მეტი გაიტანეს ექსპორტზე. მაღალია ენერგოშეიარაღების მაჩვენებელი, რომელიც თუ 1985 წელს 75 ცხ.ძალას შეადგენდა, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 86 ცხ.ძალამდე გაიზარდა.

კარგადაა წარმოდგენილი მებაღეობა, რომელსაც ინდუსტრიული ხასიათი აქვს. 1985 წელს აწარმოეს 1,6 მილიონი ტონა ფორთოხალი, ხოლო 2015 წელს 2,1 მილიონი ტონა. წარმოებული პროდუქციის 75% ნატურალური და გადამუშავებული სახით გააქვთ საზღვარგარეთ. ფორთოხლის მოსავლიანობა 45-48 ტონაა ერთ ჰექტარზე. ქვეყანაში ბევრია შემფუთავი და გადამამუშავებელი ქარხნები, რომლებიც მთლიანად ავტომატიზირებულია. მოჰყავთ მაღალი ხარისხის ყურძენი, რომელთა 60% მოდის ღვინის დამზადებაზე, ხოლო 40% საქიშმიშეა.

აღსანიშნავია, რომ მოსავლის აღების დროს დანაკარგი მინიმალურია 2-2,5%, ეს მაჩვენებელი საუკეთესოა მსოფლიოში. ისრაელის სოფლის მეურნეობა ვითარდება დინამიურად. ისინი იყენებენ ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებს. წარმოების უდიდესი ნაწილი ავტომატიზირებულია, პირველად მათ დანერგეს ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოყვანის ვერტიკალური წარმოება, რომელიც წყლისა და სასუქების რაციონალური გამოყენების საშუალებას იძლევა.

ქვეყნის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი 8%-ია, მიუხედავად დარგის მზარდი, რაოდენობრივად ზრდის ტენდენციისა ეს მაჩვენებელი მცირდება.

ისრაელში მაღალ დონეზეა წარმოდგენილი განათლება, ქვეყანაში 2010 წლისათვის არსებობდა 5 უნივერსიტეტი, რომელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ზეთანამედროვეა. უნივერსიტეტში მუშაობენ მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-პედაგოგები, რომელთა ცოდნისა და გამოცდილების დონე იმდენად მაღალია, რომ კვალიფიკაციის ასამღლებლად აქ ჩადიან (ძირითადათ ევროპის) წამყვანი უნივერსიტეტების თანამშრომლები. ყველა უნივერსიტეტში არსებობს აგრარული სექტორი, რომლებიც სტრუქტურაში ინსტიტუტების სახით არიან წარმოდგენილები. მასიური პროფესიული განათლებისათვის, არსებობს კოლეჯების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქსელი, რომლებიც დარგობრივი პრინციპით მიერთებულები არიან შესაბამის ინსტიტუტებს.

სამეცნიერო მუშაობის პრინციპი, მორგებულია სასწავლო პროცესთან. უნივერსიტეტების პედაგოგიური პერსონალი ჩართულია სამეცნიერო-კვლევით პროცესში. ეს კი კვალიფიციური კადრების მომზადების მნიშვნელოვანი ფაქტორია. სამეცნიერო მუშაობისათვის შესაბამისი საწარმოები და პუნქტები გაფანტულია ისრაელის სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე.

სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსება ხდება , როგორც საბიუჯეტო (ძირითადად ფუნდამენტური კვლევა), ისე ბიზნეს სექტორიდან. ისრაელ მეცნიერებს აქვთ უცხო ქვეყნის შეკვეთებიც.

დასკვნა. ქვეყნის წარმატების საფუძველი, სწორად განსაზღვრული მიზანი და მისი შესრულების რეალური გზაა. ეს პროცესი მოითხოვს ხელისუფლებისა და მოსახლეობის ერთობლივ ძალისხმევას. მხოლოდ კვალიფიციურ, პროფესიონალ, ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებულ ხელისუფლებას და საზოგადოებას შეუძლია მიგვიყვანოს იმ შედეგებამდე, რომელიც აუცილებელია ევროკავშირში გასაერთიანებლად. ევროკავშირი კი ჩვენთვის ცივილურ სამყაროში დაბრუნების საშუალებაა.

ისრაელის სახელმწიფოზე მოწოდებული მოკლე ინფორმაცია, მხოლოდ იმის დასტურია, თუ რისი მიღწევა შეუძლია ქვეყანას, როდესაც ხელისუფლებაც და მოსახლეობაც ორიენტირებულია ქვეყნის ინტერესებზე.